# სექტორის მიმოხილვა

## სოფლის მეურნეობის სექტორის 2025 წელი

2025 წლის ივნისში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ წლიური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2024". ანგარიშის მიხედვით, სოფლის მეურნეობამ, სატყეო მეურნეობამ და თევზჭერამ 2024 წელს მშპ-ის 6.2% შეადგინა – ოდნავ ნაკლები წინა წლებთან შედარებით, თუმცა შეესაბამება ბოლო წლების ზოგად ტენდენციას, რომლის დროსაც სექტორის წილმა საშუალოდ 7-8% შეადგინა. რეალურ რიცხვებში თუ შევხედავთ, 2023 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მშპ 4.4%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთწლიანი კულტურების უმეტესობის წარმოება 2024 წელს ოდნავ შემცირდა, წლიურ ჭრილში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა კარტოფილისა (24%) და მარცვლეულის (19%) შემთხვევაში. ლობიოს წარმოებაც ოდნავ, 1%-ით გაიზარდა. სანაცვლოდ, შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა ბოსტნეულის (8%), ერთწლიანი ბალახოვანი კულტურების თივის (6%), ნესვის (4%), მრავალწლიანი ბალახოვანი კულტურების თივის (3%) და მზესუმზირის (1%) წარმოებაში.







*წყარო: საქსტატი, 2025.*

მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში ყველაზე დიდი წლიური ზრდა თესლოვანმა ხილმა (47%) აჩვენა, რომელსაც მოჰყვება ყურძენი (45%). ზრდა დაფიქსირდა კენკროვანი ხილის (29%), ქვაღილოვანი ხილის (21%) და თხილის (15%) წარმოებაშიც. სამაგიეროდ შემცირდა ციტრუსოვანი (23%) და სუბტროპიკული ხილის (8%) წარმოება. მესაქონლეობის სექტორში ხორცის წარმოება 13%-ით გაიზარდა, კვერცხის წარმოება – 3%-ით, ხოლო რძის წარმოება 2%-ით შემცირდა.







*წყარო: საქსტატი, 2025*

აღსანიშნავია, რომ ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2020 წლის 15%-დან 2021-2024 წლებში 22%-მდე გაიზარდა. 2023 წელთან შედარებით, კარტოფილის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც 20 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, სიმინდის შემთხვევაში – 9 პროცენტული პუნქტით. ყველაზე დიდი შემცირება დაფიქსირდა ყურძნის შემთხვევაში, სადაც კოეფიციენტი 64 პროცენტული პუნქტით შემცირდა; თუმცა, ის კვლავ 100%-ს აღემატება და რჩება ყველაზე მაღალი ყველა პროდუქტს შორის.




*წყარო: საქსტატი, 2025.*

## ფასების მიმოხილვა

### ადგილობრივი ფასები

2025 წლის მარტიდან მაისამდე ქვეყანაში ფასები თვიურ ჭრილში იზრდებოდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2025 წლის მარტში თებერვალთან შედარებით 1.1%-ით გაიზარდა. შესაბამისი თვიური ცვლილებები აპრილში 0.2% იყო, მაისში – 0.4%.

2025 წლის მარტიდან მაისამდე ქვეყანაში სურსათის ფასების ინდექსით (FPI) განსაზღვრული საკვების და არაალკოჰოლური სასმელების ფასებმა ზრდის ტენდენცია აჩვენა. მარტში სურსათის ფასები წინა თვესთან შედარებით 2.8%-ით გაიზარდა, აპრილში – 0.4%-ით, მაისში – 1.6%-ით.







*წყარო: საქსტატი, 2025; შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო*

2025 წლის მარტ-მაისის პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურ ჭრილში იზრდებოდა. 2025 წლის მარტში CPI 3.5%-ით გაიზარდა 2024 წლის მარტთან შედარებით; აღნიშნული წლიური ცვლილება 2025 წლის აპრილში 3.4% იყო, მაისში – 3.5%.

2025 წლის მაისში სურსათის და არაალკოჰოლური სასმელების ფასების წლიური მაჩვენებელი 8.3%-ით გაიზარდა, რაც CPI-ის ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 2.82 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ძირითადად, შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქტები გაძვირდა:



*ზეთები და ცხიმები (22.5%↗)*

*ბოსტნეული (17.6%↗)*

*ყავა, ჩაი და კაკაო (15.4%↗)*

## უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე: ზეთები და ცხიმები

2025 წლის მაისში ზეთისა და ცხიმის ქვეკატეგორიის სურსათის ფასები კვლავ ზრდის ტენდენციას ავლენდა. მარტში ზეთისა და ცხიმის ფასები 2024 წლის მარტთან შედარებით 16.4%-ით გაიზარდა, ხოლო აპრილში – 18.2%-ით. ზეთისა და ცხიმის ფასების წლიურმა ზრდამ 2025 წლის მაისში 22.5%-ს მიაღწია. საქსტატის მონაცემებით, 2025 წლის მაისში ზეთისა და ცხიმის ქვეკატეგორიის ყველა პროდუქტის ფასი გაიზარდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მზესუმზირის ზეთზე (30.2%), კარაქსა და სპრედზე (15.3%), მარგარინსა (9.1%) და მაიონეზზე (6.6%); ხოლო 2025 წლის მაისის შესაბამისი თვიური ინფლაციის მაჩვენებლები დადებითი იყო ყველა ზემოაღნიშნული პროდუქტისთვის, გარდა მზესუმზირის ზეთისა.

2025 წელს საქართველოში ზეთისა და ცხიმის ფასების ასეთი ზრდა შეიძლება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. იმპორტის საშუალო ფასის 39-პროცენტიანმა წლიურმა ზრდამ, იმპორტის მოცულობის 8.3-პროცენტიან შემცირებასთან ერთად, ზოგადი ხარჯები გაზარდა. ტრანსპორტირებისა და ტვირთბრუნვის ხარჯებიც გაიზარდა, ნაწილობრივ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების პრობლემების გამო, ხოლო მზარდმა მსოფლიო მოთხოვნამ – განსაკუთრებით ბიოსაწვავის სექტორიდან – კიდევ უფრო გაამკაცრა მიწოდება და გაზარდა საერთაშორისო ფასები. იმის გამო, რომ საქართველო დიდწილად დამოკიდებულია იმპორტირებულ მზესუმზირის ზეთზე, ეს გლობალური და ლოგისტიკური ზეწოლა პირდაპირ აისახა უფრო მაღალ შიდა საცალო ფასებში.

კარაქის, სპრედის, მარგარინისა და მაიონეზის შემთხვევაში, ფასების ზრდა შეიძლება მსგავსი საერთაშორისო და ადგილობრივი დინამიკით აიხსნას. გაზრდილმა მსოფლიო მოთხოვნამ და რძის სექტორში შეზღუდულმა მიწოდებამ ზეწოლა მოახდინა კარაქის ფასებზე, ხოლო მარგარინისა და მაიონეზის ღირებულებაზე გავლენა მოახდინა მცენარეული ზეთების ფასების ზრდამ, რომლებიც ძირითადი ნედლეულია მათ წარმოებაში. ვინაიდან საქართველო ამ პროდუქტების იმპორტზეა დამოკიდებული, ვალუტის კურსის რყევებმა და 2025 წლის დასაწყისში ზოგადად მაღალმა ინფლაციურმა გარემომ კიდევ უფრო გააძლიერა საცალო ფასების ზრდა.




*წყარო: საქსტატი, 2025*

## საერთაშორისო ფასები

2025 წლის მარტსა და მაისს შორის, საერთაშორისო ფასებმა წლიურ ჭრილში ზრდის ტენდენცია აჩვენა. მარტში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი 7.0%-ით გაიზარდა 2024 წლის მარტთან შედარებით. 2025 წლის აპრილსა და მაისში შესაბამისი სურსათის ფასების ზრდა 7.5%-სა და 5.5%-ს შეადგენდა. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ზეთისა და რძის პროდუქტების ფასების ინდექსების მნიშვნელოვანი ზრდით. წინა წლის იმავე თვეებთან შედარებით, ზეთის ფასების ინდექსი მარტში 23.9%-ით გაიზარდა, აპრილში – 20.7%-ით, მაისში – 19.1%-ით. რძის პროდუქტების ფასების ინდექსის შემთხვევაში ზრდა მარტში 19.9% იყო, აპრილში – 22.6%, მაისში კი – 21.7%. მცენარეული ზეთის ფასების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო მუდმივი მაღალი მოთხოვნითა და შეზღუდული მიწოდების დინამიკით. რძის პროდუქტების ფასების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო აზიიდან ძლიერი მოთხოვნით, განსაკუთრებით კარაქზე, რომელიც ისტორიულად მაღალ დონეზე რჩებოდა.




*წყარო: FAO, 2025*

## ვაჭრობის მიმოხილვა

საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა 2025 წლის იანვარ-მაისში 2,594 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მკვეთრი გაუმჯობესება და მნიშვნელოვანი, 14.5%-იანი ზრდაა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2,265 მლნ. აშშ დოლარი). აგრო ექსპორტის შემთხვევაში ზრდა უფრო ზომიერია, 4.9% – 2024 წლის 617 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წელს 647 მლნ. დოლარამდე. სოფლის მეურნეობის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტშიც შემცირდა 27%-დან 25%-მდე.

საქართველოს მთლიანი ექსპორტის მსგავსად, საქართველოს მთლიანი იმპორტი გაიზარდა 16.4%-ით, 2024 წლის იანვარ-მაისის 6,378 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წლის შესაბამისი პერიოდის 7,424 მლნ. აშშ დოლარამდე. აგრო იმპორტი 2024 წლის 846 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წლის 972 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც 14.9%-იან ზრდას წარმოადგენს და აღემატება აგრო ექსპორტის მაჩვენებელს. აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტშიც იგივე დარჩა და 13% შეადგინა.







*წყარო: საქსტატი, 2025*

ტრადიციულად, ორი უმსხვილესი სოფლის მეურნეობის საექსპორტო საქონელი იყო სპირტიანი სასმელები და ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინო. 2025 წლის იანვარ-მაისში სპირტიანი სასმელების ექსპორტმა 98.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა სოფლის მეურნეობის მთლიან ექსპორტში 15.2%-იანი წილით, ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინის ექსპორტმა კი – 97.8 მლნ. აშშ დოლარი სოფლის მეურნეობის მთლიან ექსპორტში 15.1%-იანი წილით. მინერალური წყლების ექსპორტმა 73.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა 11.4%-იანი წილით. შაქრის შემცველი წყლების ექსპორტმა 63.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა 9.8%-იანი წილით, ხოლო თხილისა და სხვა კაკლოვანი ხილის ექსპორტმა მიაღწია 46.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია 7.2%-იანი წილით.




*წყარო: საქსტატი, 2025*
*შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს*

ISET – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

**ავტორები:** ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge
თათია ხიდაშელი tatia.khidasheli@iset.ge
მარიამ ლობჯანიძე m.lobjanidze@iset.ge